საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030147114010419

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/15052 **23 / აგვისტო / 2019 წ.**

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ განიხილა თქვენი N4/66438 წერილი, რომელიც ეხება 01.12.2011-03.12.2018 პერიოდში, ერთი მხრივ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (უფლებამონაცვლე სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო (შემდგომში „სააგენტო“)), საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში „სამინისტრო“) და მეორე მხრივ, შპს „ალიანს მედი+“-ს (შემდგომში „მყიდველი“) შორის 2011 წლის 15 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დადასტურების საკითხს.

როგორც მოგეხსენებათ, 2011 წლის 15 სექტემბერს, ერთი მხრივ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (,,გამყიდველი“), შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (,,სამინისტროს“) და მეორე მხრივ შპს ,,ალიანს მედი+“-ს (,,მყიდველი“) შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მყიდველს, ხელშეკრულების მუხლი 2-ით განსაზღვრულ ფასად, გადაეცა ხელშეკრულებით განსაზღვრული უძრავი და მოძრავი ქონება. აქედან, 2.4. პუნქტის თანახმად, ,,მყიდველს“ ხელშეკრულების პირველი მუხლით განსაზღვრული უძრავი ქონება გადაეცა 3.1.7. პუნქტით ნაკისრი ვალდებულების შესრულების პირობით, რომელიც გულისხმობდა: ,,უზრუნველყოს დანართი № 5-ით გათვალისწინებული ბაზისური სამედიცინო სერვისების უწყვეტობა ბოლნისის, დმანისის, ამბროლაურის, ონის, ცაგერის, მესტიის და ხაშურის მუნიციპალიტეტებში, შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, გარდამავალი პერიოდის დასასრულიდან 7 წლის განმავლობაში და დანართი № 5-ში განსაზღვრული სპეციფიური პირობების გათვალისწინებით და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრინციპის დაცვით. ამასთან, ამავე პუნქტით განსაზღვრული ვალდებულება ქარელის და ლენტეხის მუნიციპალიტეტებში უზრუნველყოს მხოლოდ დანართი №5-ის პირველი პუნქტის შესაბამისად“.

ბაზისური სერვისების უზრუნველყოფის ვალდებულება ,,მყიდველს“ (შპს ,,ალიანს მედი+“ (შპს ,,მედიქალ პარკი საქართველო“)) ეკისრებოდა გარდამავალი პერიოდის დასასრულიდან 7 წლის განმავლობაში, ხოლო გარდამავალი პერიოდი განისაზღვრა ,,ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2011 წლის 1 ოქტომბრიდან ,,სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის № 218 დადგენილების მე-8 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დადგომამდე“, რაც დაიწყო მესტიისათვის 2012 წლის 31 მარტს, სხვა რაიონებში - 2011 წლის 1 დეკემბერს.

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2011 წლის 15 სექტემბერის ხელშეკრულების 3.1.7 მუხლით შპს „ალიანს მედი+“-ს ბაზისური სერვისების უწყვეტობა დაევალა ბოლნისის, დმანისის, ამბროლაურის, ონის, ცაგერის, მესტიისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 28 ნოემბრის N2093 განკარგულების შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ გამოსყიდულ იქნა შპს „ალიანს მედი+” - ის საკუთრებაში არსებული სამედიცინო ცენტრები მესტიის, ონის, ცაგერის და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებში და ქონება შეტანილი იქნა შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ კაპიტალში (შესაბამის პერიოდში აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში შპს ,,ალიანს მედი+“-ის მიერ ბაზისურ სერვისებთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ უკვე გეცნობათ 2017 წლის 20 იანვრის N01/3225 წერილით).

2017 წლის 8 სექტემბერს, ქ. ბოლნისში, დავით აღმაშენებელის ქუჩა N25-ში მდებარე, შპს „ახალი სამედიცინო ცენტრის“ (28.01.2015-მდე, შპს ,,მედიქალ პარკი საქართველოს“ ნებართვა) ნებართვა და სანებართვო დანართები გადაეცა შპს „ბოლნისის ცენტრალურ კლინიკას“. ისევე, როგორც 2017 წლის 8 სექტემბერს, ქ.ხაშურში, რუსთაველის ქუჩა N40-ში მდებარე შპს „ალიანს მედ სერვისის“

ნებართვები (29.09.2014-მდე შპს ,,მედიქალ პარკი საქართველოს“ ნებართვა) გადაეცა შპს „ახალ კლინიკას“. 2018 წლის 28 სექტემბერს, შპს „ახალი სამედიცინო ცენტრის“ ნებართვა და სანებართვო დანართები (28.01.2015-მდე, შპს ,,მედიქალ პარკი საქართველოს“ ნებართვა) გადაეცა შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრს“ (საქართველოს მთავრობის 2018 წლის 9 აგვისტოს N21509 განკარგულების შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ გამოსყიდულ იქნა შპს „ალიანს მედი+”-ის საკუთრებაში არსებული სამედიცინო ცენტრი დმანისის მუნიციპალიტეტში და ქონება შეტანილ იქნა შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ კაპიტალში).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ამჟამად წარმოგიდგენთ ბაზისური სერვისების უწყვეტობის ვალდებულების შესრულების შესახებ ინფორმაციას 2016 წლის 16 სექტემბრიდან 2017 წლის 8 სექტემბრის ჩათვლით ბოლნისისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში მყოფი სამედიცინო დაწესებულებებისთვის, ხოლო 2018 წლის 28 სეტემბრის ჩათვლით - დმანისში მდებარე სამედიცინო დაწესებულებისთვის. თუმცა, ასევე მოგაწვდით ინფორმაციას შპს „ბოლნისის ცენტრალურ კლინიკის“ და შპს „ახალ კლინიკის“ მიერ 08.09.2017-03.12.2018 პერიოდში ბაზისური სერვისების ვალდებულებების შესრულების შესახებ.

იმისათვის, რომ ვალდებულებით განსაზღვრული სერვისების მიწოდება ჩაითვალოს შესრულებულად, სერვისის მიმწოდებელი, ხელშეკრულებით განსაზღვრული ბაზისური სერვისების წარმოების ვადის ფარგლებში, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) პირველ რიგში, უნდა გააჩნდეს განსაზღვრული სერვისის წარმოების უფლება, რისთვისაც, სამედიცინო საქმიანობის სპეციფიკის შესაბამისად, უნდა ჰქონდეს: ან სტაციონარული დაწესებულების ნებართვა და თუ საჭიროა, შესაბამისი სამედიცინო საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სანებართვო დანართი; ან საქმიანობის ლიცენზია; ან შეტყობინება მაღალი რისკის შემცველი ამბულატორიული საქმიანობის წარმოების თაობაზე. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ბაზისური სერვისებიდან, შესაძლებელია, ზოგიერთი სერვისების წარმოება არ მოითხოვდეს ლიცენზიის/ნებართვის ან შეტყობინების არსებობას.

როდესაც ჩვენს მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში აღნიშნულია ლიცენზიის, სტაციონარული ნებართვისა და ნებართვის დანართის ან მაღალი რისკის ამბულატორიულ საქმიანობაზე შეტყობინების არარსებობა, ნიშნავს, რომ სერვისის მიმწოდებელს (,,მყიდველს“) ვალდებულების შესასრულებლად სჭირდებოდა შესაბამისი უფლების ქონა, მაგრამ სამინისტროს უფლებამოსილი უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციით არ დასტურდება „მყიდველის“ მიერ შესაბამისი ბაზისური სერვისის შესრულების ის ლეგალური საფუძვლები, რაც უკავშირდება კონკრეტული ბაზისური სერვისის წარმოების უფლებას.

ბ) სერვისის მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულება, შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, უწყვეტად უნდა ახდენდეს ბაზისური სერვისების ნუსხით გათვალისწინებულ მომსახურების მიწოდებას ხელშეკრულებაში მითითებულ მუნიციპალიტეტ(ებ)ში.

როდესაც ჩვენს საპასუხო წერილში აღნიშნულია, რომ ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების განმახორციელებელ უწყებებში არ ფიქსირდება ინფორმაცია სერვისის მიმწოდებლის (,,მყიდველი“)მიერ ბაზისური სერვისების შესრულების შესახებ საანგარიშო პერიოდში, ეს ნიშნავს, რომ სამინისტროს არ შეუძლია დაადასტუროს „მყიდველის“ მიერ შესაბამისი ბაზისური სერვისის მიწოდების ვალდებულების შესრულება აღნიშნულ პერიოდში, მიუხედავად იმისა, ფლობდა თუ არა იგი საქმიანობის წარმოების უფლებას.

სამედიცინო ტრანსპორტირება და სასწრაფო სამედიცინო მომსახურება

საქმიანობის უფლება: სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის 2011 წლის 29 სექტემბრის N02-969/ო ბრძანების თანახმად, შპს ,,მედიქალ პარკი საქართველო“ ფლობდა ,,სასწრაფო სამედიცინო დახმარების ლიცენზიას“, ფაქტიურ მისამართზე: ბოლნისი, დავით აღმაშენებლის ქ. N25, ხოლო ცალკეულ რაიონებში: ხაშური, რუსთაველის ქ. N31; ონი, ვახტანგ VI-ის N10; ამბროლაური, ბრატისლავა-რაჭის ქ. N12; ცაგერი, რუსთაველის ქ. N31; მესტია, გაბლიანის ქუჩა; დმანისი, გორგასლის ქ. N17 - მიეცა საქმიანობის განხორციელების უფლება (ფილიალები), ასევე, 2011 წლის 29 სექტემბრიდან.

სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოში მიმართვის საფუძველზე, ,,სასწრაფო სამედიცინო დახმარების ლიცენზია“ და შესაბამისად, საქმიანობის უფლება გაუქმდა 2015 წლის 11 მარტს, როგორც ფაქტიურ მისამართზე: ბოლნისი, დავით აღმაშენებლის ქ. N25, ისე ზემოაღნიშნულ ფილიალებშიც. 2015 წლის 11 მარტიდან ანგარიშგების თარიღამდე, სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოში არ ფიქსირდება შპს „ალიანს მედი+“-ის სხვა განაცხადი (ლიცენზიას არ ფლობს არც შპს ,,ბოლნისის ცენტრალური კლინიკა“ და არც შპს „ახალი კლინიკა“).

სახელმწიფო პროგრამები: შპს ,,ალიანს მედი+“ (შპს ,,მედიქალ პარკი საქართველო“) ხაშურის, დმანისის და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში ბაზისური სერვისების შესრულების ვალდებულების დასაწყისიდან (01.12.2011წ) ანგარიშგების თარიღებამდე, არ ფიქსირდება ,,სამედიცინო ტრანსპორტირებას და სასწრაფო სამედიცინო მომსახურების“ პროგრამის სამედიცინო ტრანსპორტირების კომპონენტის მიმწოდებლად (08.09.2017-დან - საანგარიშგებო თარიღამდე არც შპს ,,ბოლნისის ცენტრალური კლინიკა“ და არც შპს „ახალი კლინიკა“ არ არის დაფიქსირებული ,,სამედიცინო ტრანსპორტირებას და სასწრაფო სამედიცინო მომსახურების“ პროგრამის სამედიცინო ტრანსპორტირების კომპონენტის მიმწოდებლად), ხოლორაც შეეხება სასწრაფო სამედიცინო

დახმარების კომპონენტს, როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ,,სასწრაფო სამედიცინო დახმარების“ სერვისის 2014 წლის 17 თებერვლიდან სახელმწიფო მართვაში გადაცემის თაობაზე (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 იანვრის №89 დადგენილება).

ანტენატალური მეთვალყურეობის უზრუნველყოფა, სულ მცირე, მუნიციპალურ დონეზე და საჭიროების შემთხვევაში, მაღალი რისკის მქონე ორსულების რეფერალი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2017 წლის 20 იანვრის N01/3225 წერილით, ანტენატალური მეთვალყურეობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით გეცნობათ, რომ შპს ,,ალიანს მედი+“ ხაშურის მუნიციპალიტეტში 01.07.2015-დან 15.09.2016-მდე არ ახდენდა ანტენატალური სერვისების მიწოდებას სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. აღნიშნულთან დაკავშირებით დამატებით გაცნობებთ, რომ ამავე მუნიციპალიტეტში 01.07.2015-დან შპს „ალიანს მედ სერვისი“ აგრძელებს აღნიშნული სერვისის მიწოდებას 07.09.2017 წლამდე. ხოლო ანტენატალური სერვისების მიწოდება 08.09.2017-დან საანგარიშგებო თარიღამდე გრძელდება შპს „ახალი კლინიკის“ მიერ.

ასევე, **შპს „ბოლნისის ცენტრალური კლინიკა“ 2018 წლის 1 იანვრიდან არ მონაწილეობს** საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ინფექციური დაავადებების მართვის კომპონენტის განხორციელებაში.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ჩვენს ხელთ არსებული შპს „ბოლნისის ცენტრალური კლინიკისა“ და შპს „ახალ კლინიკის“ მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიხედვით, ზემოხსენებულ მუნიციპალიტეტებში მიმდინარეობდა შპს ,,ალიანს მედი+“-ის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დანარჩენი ბაზისური სერვისების მიწოდება (ფლობდნენ საქმიანობის უფლების განხორციელების შესაბამის ნებართვებს/სანებართვო დანართებს/შეტყობინებებს და მონაწილეობდნენ სახელმწიფო პროგრამების განხორციელებაში), თუ შესაბამისი ხელშეკრულებები ითვალისწინებენ ამ ვალდებულების შპს ,,ბოლნისის ცენტრალური კლინიკისა“ და შპს ,,ახალი კლინიკის“ მიერ უზრუნველყოფას.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

გიორგი წოწკოლაური